



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბრძანება N 241

28/09/2016

„2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 ნოემბრის N386 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 77¹ მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. „2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 ნოემბრის N386 ბრძანებით დამტკიცებული დანართის 277-ე სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

277	გალუაზი დუო	ფილტრიანი სიგარეტი	Gauloises Duo	იმპორტირებული	3.00
-----	-------------	--------------------	---------------	---------------	------

2. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია, დაინტერესებული მხარის მიერ მისთვის ბრძანების ოფიციალურად გაცნობიდან, ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში (მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. N7).

ნოდარ ხადური

მინისტრი